საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში - სწავლების ცენტრი) 2015 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესრულების თაობაზე.

2015 წელს სწავლების ცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შევიდა ოცდასამი განცხადება, რომელთაგან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად:

- ოცდაორ განცხადებაზე - სწავლების ცენტრმა უზრუნველყო მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემა;
- ერთ განცხადებაზე - „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ასლის გაცემისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა არ განხორციელებულა.